სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

88012426592115

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150996000

რეგისტრაციის თარიღი

10.09.2015 წ

ნოტარიუსი: ცირა დიდებულიძე

მისამართი: თბილისი,მარჯანიშვილის ქ#29

ტელეფონი: 295-78-07

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის ათ სექტემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუს ციცა დიდებულიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №29, მომმართა: შპს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია"–ს (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის ნომერი: 295540, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 11068891, ამონაწერის მომზადების თარიღი: 11/05/2011, ს/კ 202904731) დირექტორმა ლეილა მესხმა. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: შპს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია"ს დირექტორმა ლეილა მესხმა (დაბ. 05.01.1968წ. პირადი №01030000800, მისამართი: თბილისი, კ. სალიების №9) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მინდობილობა

„მინდობილობის გამცემი" - შპს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია"ს დირექტორი ლეილა მესხი (დაბ. 05.01.1968წ. პირადი №01030000800, მისამართი: თბილისი, კ. სალიების №9), "მინდობილობის მიმღებს" – გიორგი ჟურციკიძეს (დაბ. 17.11.1987წ. პირადი №01015018332, მისამართი: თბილისი კრწანისის ქ. N 7ა ბ. 17), ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

წარმოადგინოს „მინდობილობის გამცემი"-ს ინტერესები უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №29-ში, შენობის დემონტაჟთან, მშენებლობის ნებართვის აღებასთან, პროექტის მიღებასთან დაკავშირებით ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ სარეგისტრაციო სამსახურში, ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან. შეასრულოს სამშენებლო სამუშაოები, აიღოს ნებართვები, შეათანხმოს პროექტი. ამასთან დაკავშირებით წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტაცია, ცნობები, განცხადებები, შუამდგომლობები, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები. ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

- მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია ორი ათას თხუთმეტი წლის ათი დეკემბრის ჩათვლით. ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ციცა დიდებულიძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა „მინდობილობის გამცემს'.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა*, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.*

მინდობილობის გამცემი

ნოტარიუსი ც. დიდებულიძე